

## თემა 11: რისკების მართვა და დაზღვევა ბიზნესში

მასალა ელექტრონული ფორმატით სწავლებისათვის. სილაბუსით გათვალისწინებული **თემა №11 (ნაწილი: პირველი და მეორე)**

თემის მასალა იხილეთ სახელმძღვანელოში: უ. სამადაშვილი. ბიზნესის საფუძვლები (მეექვსე გამოცემა, გადამუშავებული, დამატებებით). თეორია, დედააზრი ჩანართით, პრაქტიკუმი, სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების თემატიკა. თბ. 2016. სილაბუსით გათვალისწინებული თემა №11- ის პირველი ნაწილი გვ.342-353; გვ.405-407. მეორე ნაწილი გვ.353-363; გვ.407-408

**11.1. სამეწარმეო რისკის არსი და სახეობები**

**11.2. სამეწარმეო დანაკარგების ძირითადი მიზეზები და სახეობები**

**11.3. სამეწარმეო რისკების ზონები და გაზომვა—შეფასების მეთოდები**

**11.4. სამეწარმეო რისკების მართვა**

### ნაწილი პირველი

- სამეწარმეო რისკის არსი და მეწარმეობის იმანენტური (შინაგანი) თვისებები;
- რა როლს ასრულებს სამეწარმეო რისკების მართვა და დაზღვევა ბიზნესის წარმატებულობაში?
- რა განსხვავებაა სამეწარმეო ხარჯებსა და დანაკარგებს შორის?
- სამეწარმეო რისკების რა მთავარი კატეგორიები და სახეობები არსებობს?
- დაუზღვევადი და დაზღვევადი რისკები;
- რას ნიშნავს სადაზღვევო ბიზნესი, დაუზღვევადი და დაზღვევადი რისკები?

### 12.1. სამეწარმეო რისკის არსი და სახეობები

რისკები ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებას თან სდევს: სამსახურში, გზაში, ქუჩაში თუ ოჯახში. შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრება და სამეურნეო საქმიანობა გაჯერებულია რისკებით. ანდაზური თქმა—"არასოდეს იცი, რას მოიტანს ხვალისდელი დღე", ყველაზე მეტად ბიზნესს მიესადაგება. ამიტომ, ბიზნესის უმთავრესი შემოქმედი, მეწარმე თუ არ გაითვალისწინებს შესაძლო რისკებს, ადრე თუ გვიან, მას მოუწევს საკუთარი შეცდომების აღიარება, ხოლო რისკებზე წასვლის მზადყოფნის შემთხვევაში იგი გააუმჯობესებს თავისი კომპანიის გადარჩენა – განვითარების შანსს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მეწარმე ჯეროვნად უნდა ერკვეოდეს რისკების არსში,

სახეობებში, გამომწვევ მიზეზებში, შეფასებაში და ეკონომიკური გაურკვევლობის ანუ მომავლის შესახებ ინფორმაციის უკმარისობის პირობებში იღებდეს კომპეტენტურ გადაწყვეტილებებს.

რისკის განსაზღვრა არც ისე იოლია. ასე მაგალითად, არასპეციალისტის თვალსაზრისით რისკი გულისხმობს საკუთარი ჯანმრთელობის, სიცოცხლის, რეპუტაციის ან იმიჯის დაკარგვის შესაძლებლობას. მეწარმისათვის კი რისკი, საბოლოო ანგარიშში, ფინანსური ზარალის საშიშროებაა. ასეთი დანაკარგები და ზარალი თანხობრივ გამოხატულებას პოულობს ბალანსის, ან მოგება-ზარალის ანგარიშში.

ამის მაგალითია რეალიზებიდან შემოსავლების შემცირება. როდესაც ხანძრის შედეგად ქარხნისაგან მხოლოდ აგურებიღა რჩება და წარმოება ჩერდება იქამდე, სანამ არ აშენდება ახალი შენობა. ამ ხნის განმავლობაში კი არავითარი შემოსავალი არ შემოდის.

ექსპლოატაციური ხარჯების ზრდა. შესაძლებელია, ხანძრის გამო მეწარმემ თავისი საწარმო დროებით გადაიტანოს ძვირად ღირებულ შენობაში.

ფონდების შემცირება. შეიძლება მოპარული იქნას სასაქონლო-მატერიალური მარაგები და მოწყობილობანი, ან მეწარმის ერთ-ერთი მსხვილი დამკვეთი-მოვალე – მოულოდნელად აცხადებს თავისი გაკოტრების შესახებ.

დავალიანების ზრდა. მეწარმემ შეიძლება ჩაშალოს მიწოდების ხელშეკრულება ან წააგოს სასამართლო პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ამ შესაძლებელ დანაკარგს ერთი რამ აქვს საერთო: მათი წარმოქმნის წინასწარმეტყველება შეუძლებელია.

მაშასადამე, სამეწარმეო საქმიანობა, სხვა არაფერია თუ არა ინვესტირება (კაპდაბანდება), რისკი მოგების მიღების მიზნით. მეწარმე ფულს აბანდებს დღეს იმ მოტივით, რომ მომავალში უფრო მეტი ფული მიიღოს. ამ ხნის მანძილზე კი უამრავი ბუნებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი ცვლილებებია მოსალოდნელი, რამაც შესაძლოა მეწარმეს საერთოდ დააკარგვინოს დაბანდებული ფულადი სახსრები, რომ აღარაფერი ვთქვათ მოგების ან მისი ნაწილის მიღებაზე.

სამეწარმეო რისკის საკვანძო მომენტიან თანაფარდობა სავარაუდო ხარჯებსა და შედეგებსა და რეალურ ხარჯებსა და შედეგებს შორის. თუ წარმოებული, რეალიზებული პროდუქციის ფასი ვერ ფარავს ხარჯებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმემ ან ვერ შეძლო საკუთარი საქმის ეფექტიანი ორგანიზება, ან არახელსაყრელი კონიუნქტურა ჩამოყალიბდა. სწორედ ამიტომ, წარმოების პირობების კომბინაციაზე განუხრელი კონტროლის აუცილებლობა, მეწარმეს აიძულებს მუდმივად იყოს დაძაბულ მდგომარეობაში და ეს დაძაბულობა გადასცეს საქმის ყველა მონაწილეს.

სამეწარმეო რისკს, ისევე როგორც ნებისმიერი ეკონომიკურ მოვლენას, აქვს თვისებრივი და რაოდენობრივი განსაზღვრულობა. თვისებრივი განსაზღვრულობა გვეუბნება თუ რა არის სამეწარმეო რისკი, რაოდენობრივი განსაზღვრულობა კი – როგორ გავზომოთ, შევაფასოთ იგი.

რამდენადაც რისკი სამეწარმეო საქმიანობისთვის იმანენტურია (შინაგანად დამახასიათებელია), ამდენად მისი არსის და აღმოცენების ობიექტური პირობების ახსნამდე, კიდევ ერთხელ, ძალიან მოკლედ შევრჩერდეთ თვით მეწარმეობის ბუნებაზე.

მაშ ასე, რა არის მეწარმეობა? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიხსენოთ, რომ საბაზრო ეკონომიკის საფუძველია კერძო საკუთრება, მაგრამ თუ ამ საკუთრებას უქმად დააგდებ, არა სამეწარმეო დანიშნულებით, არამედ მომხმარებლურად გამოიყენებ, მაშინ ეს საკუთრება თვალსა და ხელს შუა გაქრება. სწორედ ამიტომ, საქართველოში ბაზრის მშენებლობისას გადამწყვეტია არა უბრალოდ კერძო საკუთრება და პასიური მესაკუთრე, არამედ აქტიური, ეფექტიანი მესაკუთრე ანუ მეწარმე.

კი მაგრამ მეწარმე ვინდაა – კაპიტალის იურიდიული მესაკუთრე, თუ მისი ეფექტიანი გამომყენებელი. საქონელმწარმოებელთა კონკურენციულ ბრძოლაში გამარჯვება რომელ მათგანზეა დამოკიდებული? შეგახსენებთ, რომ მეწარმე არის არა პასიური მესაკუთრე, ვინც უბრალოდ ფლობს საკუთრებას და მასზე შემოსავლის (დივიდენდი, რენტა) მიღებით შემოიფარგლება, არამედ ის ვინც მიღის რისკზე და ამ საკუთრებას (ქონებას) კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებისათვის, მოგებისათვის ეფექტინად იყენებს. ამასთან, მოსალოდნელ შედეგებზეც თავად კისრულობს პასუხისმგებლობას. უფრო მარტივად, მეწარმე არის ის, ვინც მოგების მიღების მიზნით კაპიტალის ინვესტირებას ახდენს საქმეში. მეწარმე მოგების მიღების მიზნით საკუთრების (წარმოების ფაქტორთა) ეფექტიანი ორგანიზატორია, რომლის მდგომარეობა პირდაპირ კავშირშია ამ საკუთრების გონივრულ გამოყენებასთან (გამრავლებასთან) ან კომერციულ მარცხთან, ე.ი. გაკოტრებასთან (ქონების მთლიანად ან ნაწილის დაკარგვასთან). მაშასადამე, მეწარმე აქტიური, ეფექტიანი მესაკუთრეა.

მართალია საბაზრო მეურნეობის პირობებში მეწარმეები თავისუფალნი არიან ეკონომიკის ორგანიზაციის სამი უმთავრესი პრობლემის (რავაწარმოოთ? როგორ ვაწარმოოთ? ვისთვის ვაწარმოოთ?) დამოუკიდებელივ გადაწყვეტაში, მაგრამ რაკი კაპიტალის სამყაროში მუქთად არაფერია, ამდენად მათაც ამგვარი სიკეთისათვის (თავისუფლებისათვის) გარკვეული საფასურის გადახდა უწევთ მოსალოდნელ დანაკარგებზე და ზარალზე გაზრდილი პასუხისმგებლობის სახით. სწორედ ამის გამო, მეწარმის არცოდნა მისი პირადი ცოდვია და გამომწვეულ ზარალზე თვითონ ეკისრება პასუხისმგებლობა. ან ცუდი მეურნეობრიობით, ფირმის შიდა (მიზანი, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია, პერსონალი) და გარე (პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურული) შესაძლებელი ცვლილებების გაუთვალისწინებლობით, მათზე არათავისდროული რეაგირებით შეიძლება დაჰკარგოს არა მარტო მყიდველი, სამუშაო ადგილი, თუ ფული, არამედ მთელი ქონებაც კი. ე.ი. სამეწარმეო რისკი არის გეგმით, პროგნოზით გათვალისწინებულზე მეტი დანაკარგების საშიშროება ანუ საფრთხე იმისა, რომ მეწარმე დაჰკარგავს არამარტო ნაგარაუდევ მოგებას ან მის ნაწილს, არამედ მთლიანად ქონებას და გაკოტრდება.

მართალია სამეწარმეო საქმიანობა პრაგმატული (მოგების მიღებისაკენ მიმართული) საქმიანობაა, მაგრამ საბაზრო გაურკვეველობის, მკაცრი კონკურენციის პირობებში ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მეწარმეს მოგების ასპროცესტიანი გარანტია გააჩნია. სწორედ ამიტომ, იგი უნდა წავიდეს რისკზე.

კონკურენციის გამკაცრება განსაკუთრებულად აძლიერებს რისკს, რადგანაც კონკურენციაში გამარჯვება მოითხოვს ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას, რომლის შედეგი ყოველთვის სააღბათოა.

ზემოთ განხორციელებული მსჯელობიდან შეიძლება ლოგიკურად დავასკვნათ: ზოგადად რისკი – ეს არის ზიანის ან ზარალის მიღების შესაძლებლობა რაიმე საქმის წამოწყების დროს. სამეწარმეო რისკი კი ეს არის საბაზრო გაურკვევლობის პირობებში მოსალოდნელი დანაკარგების (ზარალის) ალბათობის მიუხედავად მეწარმის გაბედული, დაუოკებელი სწრაფვა მოგებისაკენ. აქედან გამომდინარეობს ცნობილი თქმაც – "ვინც არ რისკავს, ის ვერც იგებს". როგორც ვხედავთ, სიტყვა "რისკი" განუყრელ კავშირშია მოგების ცნებასთან. მაგრამ ის, ვინც რისკავს ცხადია გარკვეულ პასუხისმგებლობასაც კისრულობს. ამიტომ პასუხისმგებლობა რისკზე – ესაა პასუხისმგებლობა მოსალოდნელ ზარალზე, დანაკარგებზე.

როგორც ცნობილია, რისკისა და საწარმოთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის საკითხი რამდენადმე თავისებურად იდგა საბჭოური რეჟიმის პირობებში. იმ დროს არცოდნა, რატომღაც არცოდვით ითვლებოდა. ასე მაგალითად, ზოგჯერ მმართველური შეცდომის (უცოდინრობის) გამო პროდუქცია წვებოდა, ამით საწარმო ზარალდებოდა, მაგრამ ხელმძღვანელი მაინც დებულობდა ხელფასს, პრემიას და სხვას. ეს იმიტომ, რომ არ არსებობდა სამეურნეო შედეგებსა და შემოსავლებს შორის მკაცრი კავშირები ანუ ხელმძღვანელთა ქონებრივი პასუხისმგებლობა. სახელმწიფო კი, როგორც ეკონომიკის ერთიანი მესაკუთრე, "მაშველი რაზმის" როლს ასრულებდა: მომგებიანი საწარმოებიდან ამოიღებდა სახსრებს და ზარალიანს გადასცემდა, რათა ესხნა იგი ჩაძირვისაგან, გაკოტრებისაგან. სხვათა შორის, საბჭოთა სინამდვილეში საწარმოები კი არ კოტრდებოდნენ, მაგრამ თვით სახელმწიფო კარგა გვარიანად გაკოტრდა და, საბოლოო ანგარიშში, დაიშალა.

ამგვარად, სამეწარმეო რისკს წარმოშობს ეკონომიკური თავისუფლება, ხოლო ეკონომიკურ თავისუფლებას – კერძო საკუთრება, მაშასადამე, სამეწარმეო რისკი ჭეშმარიტად საბაზრო მოვლენა ყოფილა.

თავად მეწარმეობის განსაზღვრებიდან ნათლად ჩანს, რომ რისკი იმანენტურად (შინაგანად) დამახასიათებელია როგორც მეწარმეობის ყველა სახეობისათვის, ისე თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის.

როგორც ითქვა, რისკის გამართლებაზე თუ გაუმართლებლობაზე პასუხს იძლევა საწარმოს ბალანსი ან მოგება-ზარალის ანგარიშში. საანგარიშო წლის ბოლოსათვის მეწარმის გამგებლობაში არსებული აქტივების (ქონების) ზრდა იმის მაუწყებელია, რომ რისკმა გაამართლა, ხოლო პირიქით შემთხვევაში რისკმა ვერ გაამართლა.

გამოყოფენ რისკების სამ მთავარ კატეგორიას. ესაა: სუფთა, სპეკულაციური და ფუნდამენტური რისკი.

**სუფთა (წმინდა) რისკი** არის რისკი, რომლის შედეგია ზარალი, ან უზარალობა, მარამ არა მოგება. სუფთა რისკის მაგალითია: ხანძარი შენობაში, კომპანიის მთავარი მოქმედი პირის სიკვდილი, გაქურდება, საგზაო-სატრანსპორტო

შემთხვევა და სხვა. თუ ანალოგიური მოვლენები ხდება, კომპანია კარგავს ქონებას, ფულს, სამუშაო ძალას და სხვას, ხოლო თუ არ ხდება – კომპანია არ იგებს არაფერს. მეწარმეს ძალიან ცოტა რამის გაკეთება თუ შეუძლია წმინდა რისკის თავიდან აცილებისათვის. სწორედ ამიტომ, ნებისმიერმა საწარმომ, რომელსაც აქვს სატვირთო მანქანა ნაყიდობის ბინაზე მიტანისათვის, ანგარიში

უნდა გაუწიოს ავარიის რისკს, ხოლო საწარმომ, რომელსაც აქვს შენობა-ნაგებობანი, – ხანძრის რისკს.

**სპეკულიაციური რისკი.** როგორც ითქვა, სუფთა რისკის დროს მეწარმე განიცადის ზარალს ან საუკეთესო შემთხვევაში რჩება მოგების გარეშე. ე. ი. სუფთა რისკის დროს მოგების მიღების შესაძლებლობა გამორიცხულია. სპეკულიაციური რისკის დროს კი მეწარმე ან იგებს, ან აგებს (ზარალობს). მაგალითად, მეწარმემ გადაწყვიტა ფულის დაბანდება მიწის ნაკვეთში იმ იმედით, რომ მიწის ფასი აიწევს. მაგრამ გაუთვალისწინებელი გარემოებების გამო შესაძლებელია ამ მიწის ღირებულების შემცირებაც, ე. ი. ზარალიც. ამგვარი ინვესტიციები შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც სპეკულიაციური, რამდენადაც მოგების მიღების მიზნით თავად მეწარმე და არა რაიმე ბრმა შემთხვევა უქვემდებარებს საწარმოს დანაკარგების რისკს. ზუსტად ასევე, ჩვეულებრივი აქციების შეძენაზე გაღებულ ინვესტიციებს, იპოდრომზე ან ტოტალიზატორზე დადებულ ფსონს შეუძლია მოგების, ან ზარალის მოტანა.

**ფუნდამენტური რისკი.** ფუნდამენტური რისკი განსხვავდება როგორც სუფთა, ისე სპეკულიაციური რისკისაგან თავისი გაუპიროვნებელი ხასიათის გამო. სხვა სიტყვებით, ფუნდამენტური რისკს არ ჰყავს ფავორიტები. განგება არ გამოყოფს ერთ რომელიმე საწარმოს და ყურადღების გარეშე არ ტოვებს სხვა დანარჩენს. პირიქით, ფუნდამენტური რისკი ეხება ყველა კომპანიას. როგორც წესი, ის კავშირშია საზოგადოებაზე ზემოქმედ ეკონომიკურ, პოლოტიკურ, სოციალურ და ბუნებრივ ძალებთან. ფუნდამენტური რისკების ზოგიერთი სპეციფიური წყაროების რიცხვს მიეკუთვნება წყალდიდობა და მიწისძვრა, ინფლაცია და ომები.

არსებობს დაუზღვევადი და დაზღვევადი რისკები. დაუზღვევადია რისკები, რომელსაც თავის თავზე არ იღებს სადაზღვევო კომპანია იმის გამო, რომ მაღალი საფრთხეების შემცველი და ძნელად პროგნოზირებადია. ამასთან, მათთან დაკავშირებული ზარალის სიდიდის ან ალბათობის წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია. ამიტომაცაა, რომ ამ რისკების დაზღვევას სადაზღვევო ორგანიზაციები, როგორც წესი, თავს არიდებენ. ესაა: საბაზრო რისკები, რომელიც შეიძლება განიცადოს საწარმომ საქონელზე ფასების, კონკურენციის, ინფლაციის, მოდის და მოთხოვნის ცვლილებების გამო; პოლიტიკური რისკები ანუ ზარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საომარი მოქმედებით, მთავრობის შეცვლით, ანდა მის მიერ დაწესებული შეზღუდვებით; პირადი რისკები—დაკავშირებული სამუშაოს დაკარგვასთან, სიღარიბესთან; ზოგიერთი საწარმოო რისკი, რომელიც გამოწვეულია ნედლეულის დეფიციტითა და უხარისხობით, ფიზიკური კაპიტალის მორალური დაძველებით, მოწყობილობების არაეფექტიანობით, გაფიცვებით, საწარმოო შიდა კონფლიქტებითა და სხვა.

**დაზღვევადი რისკები კი ისეთი რისკებია,** რომელთაც სადაზღვევო კომპანიები აზღვევენ იმის გამო, რომ მათზე მოსალოდნელი დანაკარგები და ზარალი ადვილად პროგნოზირებადი და ანაზღაურებადია. წმინდა რისკების დიდი ნაწილი ექვემდებარება დაზღვევას, ხოლო სპეკულიაციური რისკები დაუზღვევადია.

**რა შემთხვევაშია რისკები დაზღვევადი?** რისკები დაზღვევადია იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხობს შემდეგ ოთხ კრიტერიუმს: 1) დანაკარგები

ექვემდებარება ზუსტ აღრიცხვა-შეფასებას. ამ პირობის გარეშე სადაზღვევო კომპანიები წააწყდებიან სიძნელეებს დანაკარგების შეფასება-ანაზღაურებაში; 2) დანაკარგები გამოწვეულია რაიმე არაკონტროლირებადი, გაუთვალისწინებელი მოვლენებით (მაგალითად, შენობაზე მეხის დაცემით ხანძრის გაჩენა, წამყვანი მუშაკის სიკვდილი და სხვა) და არა მეწარმის ინსცენირებით, განზრახ მოქმედებით მიყენებული ზარალით; 3) რისკი კავშირშია კლიენტთა დიდი რაოდენობის საფრთხესთან (მაგალითად, ათასობით ფირმას აქვს საკუთარი სატვირთო ავტომანქანა და სადაზღვევო კომპანიებიც მზად არიან დააზღვიონ ისინი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევებისაგან); 4) სააღბათო დანაკარგები არის ისე სერიოზული, რომ მეწარმე დამოუკიდებელივ ვერ აუდის მის დაფარვას. მაგალითად, ხანძრისაგან საწარმოს დანაკარგები შეიძლება დაზღვეული იქნას, რადგანაც ამას შესაძლოა მოჰყვეს მთელი კომპანიის არსებობის შეწყვეტა. მაგრამ იგივე ხანძრის გამო ოცდაათეთერიანი ფანქრის დანაკარგი არ დაიზღვევა, რადგანაც იგი ერთობ მცირე ღირებულებისაა.

**ცნობილია დაზღვევის სამი სახეობა:** 1. ქონების დაზღვევა; 2. პასუხისმგებლობის დაზღვევა; 3. პირადი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევა. მათ შესაბამისად გამოყოფენ სადაზღვევო ბიზნესის სახეობებს.

**1. ქონების დაზღვევისას** მოქალაქეს შეუძლია დააზღვიოს პირადი ქონება (სახლი, ავტომანქანა, ავეჯი და სხვა). ხელშეკრულებაში აღინიშნება, რომ ამ ქონების მოპარვისას, ხანძრისაგან დაწვის ან დაზიანებისას, სტიქიური უბედურების შედეგად განადგურებისას, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალის დროს სადაზღვევო ორგანიზაცია კისრულობს ვალდებულებას, დაზარალებულს გადაუხადოს მიყენებული ზარალის თანხა (რომელიც წინასწარ იქნება განსაზღვრული), დაზღვეულმა პირმა კი ყველა შემთხვევაში დაზღვევის ვადის გასვლამდე უნდა იხადოს გარკვეული თანხა სადაზღვევო მომსახურებისათვის. დაუშვათ, რომ რეგიონში, სადაც თქვენ ცხოვრობთ, 1000 კაცს აქვს ავტომანქანა, საიდანაც თითოეულს საშუალოდ აზღვევენ 5000 ლარად, რისთვისაც ყოველ მფლობელს შეაქვს სადაზღვევო შენატანი 100 ლარის ოდენობით. ე. ი. სადაზღვევო თანხის მოცულობა შეადგენს  $(1000 \times 100) = 100000$  ლარს. ცხადია, წინასწარ არავინ იცის, თუ ვის ავტომანქანას მოიპარავენ, ან რომელი მათგანი მოჰყვება ავარიაში, რის გამოც რისკი ყველასთვის დაახლოებით თანაბარია. თუმცა, წინა წლების გამოცდილებიდან ცნობილია, რომ წლის განმავლობაში იპარავენ და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის შედეგად იმტვრევა საშუალოდ ათი ავტომანქანა, რისთვისაც სადაზღვევო ორგანიზაციები იხდიან 50000 ლარს  $(5000 \times 10)$ . დანარჩენი თანხა  $(100000 - 50000) = 50000$  ლარი, ადმინისტრაციული ხარჯების გამოკლების შემდეგ, შეადგენს ამ ორგანიზაციების მოგებას. აი, ასეთ პრინციპს ეფუძნება დაზღვევა. სადაზღვევო კომპანიები ანგარიშობენ იმის ალბათობას, რომ მოხდება რაიმე მოვლენა (ხანძარი, უბედური შემთხვევა, მიწისძვრა და ა.შ.). ამის საშუალებით განსაზღვრავენ იმ თანხას, რომელიც დასჭირდებათ ზემოთ ჩამოთვლილ შემთხვევათა გამო დაზარალებულ ადამიანებს. შემდეგ, ამას უმატებენ ადმინისტრაციული ხარჯების თანხას და მოგებას. მიღებული ჯამური თანხა იყოფა დაზღვევის მსურველთა რაოდენობაზე (ჩვენს შემთხვევაში  $100000 : 1000 = 100$  ლარს) და გამოიყვანება სადაზღვევო შენატანი ანუ დაზღვევის ფასი (100 ლარი). დამზღვევის მიერ სადაზღვევო მომსახურების შეძენაზე

გადახდილი ფული (დაზღვევის ფასი) მთლიანად გადადის მზღვეველი-მეწარმის ხელში და უკან არ ბრუნდება. ამ ფულის მხოლოდ მცირე ნაწილი გამოიყენება დაზარალებულთა დანაკარგების კომპენსირებისათვის, დანარჩენი კი, მზღვეველი-მეწარმის ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის შემდეგ, მისი მოგება ხდება. ამასთან, სადაზღვევო ფირმები ყველა ღონეს მიმართავენ, რათა დამზღვევის მიერ მიღებული ზარალის დასაფარავად გასაცემი თანხის მინიმიზაცია მოახდინონ. სადაზღვევო შენატანები (დაზღვევის ფასი), რომლებიც რეგულარულად გადაიხდება დამზღვევების მიერ, მზღვეველის (სადაზღვევო კომპანიების) მიერ ბანდდება ფასიან ქაღალდებში, აქციებსა და ობლიგაციებში, გამოიყენება მიწის და სხვა ქონების შესაძენად. ამ კაპიტალბანდებიდან მიღებული შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს გადაიხადონ დანაკარგები, რომლებიც აჭარბებენ სადაზღვევო პოლისების მფლობელთა გადახდების ჯამურ თანხას. ქონების (საწარმოთა ქონება, სასოფლო-სამეურნეო კულტურები, სატრანსპორტო საშუალებები, საცხოვრებელი სახლები, შენობები, პირუტყვი) დაზღვევა იცავს დაზღვეულს ქონების ფიზიკური დაზიანებისა ან განადგურებისაგან. ქონების დაზღვევის პოლისის შექმნის პროცესში შესაძლებელია დაზღვეული იქნას ძირითადი კაპიტალის, როგორც ჩანაცვლების დანახარჯები, ისე ნარჩენი ღირებულება. ძირითადი კაპიტალის ჩანაცვლების დანახარჯების დაზღვევა, ცხადია, უფრო ძვირია, მაგრამ სადაზღვევო პოლისის მფლობელს იგი იმის შესაძლებლობას აძლევს, რომ მან ძველის სანაცვლოდ იყიდოს ახალი ქონება. ქონების ნარჩენი ღირებულების დაზღვევისას კი ფასდება ძირითადი კაპიტალის ნარჩენი ღირებულება და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში ანაზღაურდება მხოლოდ ნარჩენი ღირებულება. თანამედროვე პირობებში ფართოდ გამოიყენება, ასევე, ქურდობისაგან დაზღვევის მექანიზმი, რომელიც იცავს კომპანიას ამ გზით მიყენებული ზარალისაგან.

**2. დაზღვევის ერთ-ერთი სახეობაა პასუხისმგებლობის დაზღვევა**, რომლის რამდენიმე ფორმა არსებობს: პროდუქციის უხარისხობით და პროფესიული შეცდომებით მიყენებული ზარალის (მაგალითად, ექიმის მიერ არასწორად ჩატარებული ოპერაციის შედეგად ავადმყოფის დაინვალიდების შემთხვევა) დაზღვევა, ასევე, კომპენსაციები მუშაკთა პროფესიული ტრავმებისა და დაავადების გამო და სხვა. პასუხისმგებლობის დაზღვევის ქვეშ იგულისხმება, აგრეთვე, დავალიანებების, ანუ მოვალეთა პასუხისმგებლობის დაზღვევა. დავეუშვათ, რომ ბანკმა მსესხებელს მისცა კრედიტი. არსებობს რისკი, რომ მსესხებელი უპასუხისმგებლო აღმოჩნდება და არ, ან ვერ დაფარავს კრედიტს პროცენტითურთ. ასეთი შემთხვევისგან თავის არიდებისთვის ბანკი მსესხებლებისგან მოითხოვს სადაზღვევო კომპანიასთან გააფორმოს ხელშეკრულება და თუ იგი ვერ შეძლებს კრედიტის დაბრუნებას, მაშინ ამის გაკეთება მოუწევს სადაზღვევო კომპანიას.

ან, დავეუშვათ მამას ჰყავს შვილი, რომელმაც რაღაც „სულელურ კამპანიაში“ გაყო თავი“, რის გამოც იგი დაკავებული და მოთავსებული იქნა გამოსასწორებელ დაწესებულებაში. განთავისუფლებული შვილი ვერ პოულობს სამუშაოს თავისი შერყეული რეპუტაციის გამო. საჭიროა დადებითი დახასიათება სამუშაო ადგილიდან, რათა აღდგეს იგი თავის უფლებებში. ამა სთხოვს თავის მეგობარს, რათა მის შვილს გამოუნახოს რაიმე სამუშაო, რაც

მომასწავლებელი იქნებოდა მისი გამოსწორებისა. მეგობარი კი, ეშინია რა, რომ რაიმე მატერიალურ ზარალს ნახავს, უარზეა. მამა წერილობით თანხმობას იძლევა, რომ შვილის მხრიდან მეგობარზე მიყენებული ნებისმიერი დანაკარგის ფულად კომპენსირებას მოახდენს. ამ პირობით მეგობარი უკვე აძლევს ბიჭს სამუშაოს. ამგვარი ხელშეკრულება სხვა არაფერია თუ არა პირადი თავდებობის ხელშეკრულება, რომელიც ცნობილია, როგორც ბოროტქმედების წინააღმდეგ საგარანტიო ვალდებულება. სწორედ ამაშია შვილის კეთილსინდისიერი ქცევაზე გარანტიის ვალდებულება. ხელშეკრულების მხარეებია—მამა, შვილი და მამის მეგობარი, რომელიც იძლევა სამუშაოს. ამ შემთხვევაში რისკი გაგებულნი უნდა იქნას, როგორც დანაკარგების აღბათობა შვილის არაკეთილსინდისიერებით გამოწვეული.

**3. კომპანიები აზღვევენ არა მარტო თავიანთ ქონებას, არამედ თანამშრომლებსაც.** ამ თვალსაზრისით, არსებობს სიცოცხლისა და პირადი ჯანმრთელობის დაზღვევა და საპენსიო პროგრამები. სიცოცხლის დაზღვევის მთავარი მიზანია ადამიანის გარდაცვალებისას ოჯახისადსმი მატერიალური თანადგომა. სიცოცხლის დაზღვევის ნაირსახეობებია დაზღვევა განსაზღვრული ვადით, ანაბრის სახით და უვადოდ. სიცოცხლის ვადიანი დაზღვევისას მითითებულია დაზღვევის ხანგრძლივობა (ერთი, ხუთი, ათი წელი და ა.შ.). წინასწარ განსაზღვრული ვადის განმავლობაში დაზღვეულის გარდაცვალება ითვალისწინებს დაზღვევის თანხის გადახდას მისი მემკვიდრისადმი, ხოლო ვადის დამთავრებისთანავე ძალას კარგავს დაზღვევის თანხის გადახდის გარანტიაც. დაზღვევა-ანაბარიც ვადიანია, მაგრამ, პირველი სახეობისაგან განსხვავებით, წინასწარ განსაზღვრული ვადის გასვლისთანავე დაზღვეული ღებულობს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ დაზღვევის მთელ თანხას. თუ იგი დაზღვევის ვადის გასვლამდე გარდაიცვლება, ხელშეკრულებაში დაფიქსირებული თანხა დამზღვევის მემკვიდრეს მიეცემა. პირს, რომელიც დაზღვეულის სიკვდილის შემდეგ კომპანიისაგან ღებულობს თანხას, ეწოდება ბენეფიციარი. უვადო ანუ მუდმივი დაზღვევა ითვალისწინებს დაზღვეული პირის მიერ სადაზღვევო თანხის გადახდას მთელი სიცოცხლის მანძილზე ერთნაირი ოდენობით. ეს ხელს უწყობს თანხის დაგროვებას და წარმოდგება დანახოვის გარანტიად.

პირადი ჯანმრთელობის დაზღვევის მიზანია ავადმყოფობის ან უბედური შემთხვევის შედეგად წარმოშობილი. მატერიალური სიძნელეების შემსუბუქება. დაზღვევის თანხებით იფარება დაზღვეული ავადმყოფის სამედიცინო მომსახურების (საავადმყოფოში დაწოლა, ოპერაცია, წამლები) ხარჯები და რამდენადმე ივსება ავადმყოფის ან ინვალიდობის შედეგად დაკარგული შემოსავალი.

გამოყოფენ პირადი ჯანმრთელობის დაზღვევის ორ სახეობას, ესაა: სამედიცინო მომსახურების დაზღვევა და შრომისუუნარობის დაზღვევა. სამედიცინო დაზღვევა გულისხმობს სტაციონალური მკურნალობის, ფსიქიატრიული მომსახურების და სხვა დაზღვევას. სამედიცინო მომსახურების ხარჯებს, როგორც წესი, იხდიან დამქირავებლები. ამასთან, სამედიცინო მომსახურების ტარიფების ზრდის შემთხვევაში აუცილებელი ხდება დაზღვევაში წილობრივი მონაწილეობაც.

დაბოლოს, ისმის კითხვა, ადამიანებმა როგორ უნდა დაიცვან თავი ფინანსური სიმწვევებისა და რისკებისაგან პენსიაზე გასვლისას. განვითარებულ ქვეყნებში არსებობს პენსიონერთა დაცვის პროგრამები, რომელსაც სამფეხა სკამს ადარებენ. ესაა: 1. სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფა. თითქმის ყოველი ამერიკელი ღებულბს პენსიას სოციალური დაზღვევის სისტემიდან, როცა გადის პენსიაზე. ბევრისათვის ეს არსებობის ერთადერთი წყაროა. ყველაზე მსხვილი სადაზღვევო პროგრამები სწორედ სახელმწიფო სადაზღვევო პროგრამებია, რომელთა რეალიზება ხდება სოციალური დაზღვევის ერთიანი ფონდის მიერ; 2. კერძო საპენსიო სისტემები. შემოსავლის ეს წყარო იძლევა ფინანსური სტაბილურობის გარანტიას პენსიაზე გასვლის შემდეგ. ამგვარი ინდივიდუალური საპენსიო უზრუნველყოფის ორგანიზება იოლია მსხვილ კორპორაციაში; 3. პირადი დანაზოგები-შემოსავლები საკუთრებიდან: რენტა, სარგებელი, დივიდენდი.

**მეწარმეობის სახეობების მიხედვით გამოყოფენ, აგრეთვე, საწარმოო, კომერციულ, ფინანსურ და საკრედიტო რისკს.**

**საწარმოო რისკი** დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისას მოსალოდნელ დანაკარგებთან. მისი წარმოქმნის მთავარი მიზეზებია: პროდუქციის წარმოების ხარჯების მატება, გადასახადების გადიდება, პროდუქციის წარმოების დაგეგმილთან შედარებით გაუთვალისწინებელი კლება, შესყიდვების მოულოდნელი შემცირება და სხვა.

**კომერციული რისკისას** მხედველობაშია მოსალოდნელი დანაკარგები, რომელიც შეიძლება განიცადოს კომერსანტმა საქონლის შესყიდვისა და რეალიზაციის პროცესში საქონლის ფასის ზრდის, რეალიზაციის მოცულობის შემცირებისა და სხვა მიზეზთა გამო.

**საკრედიტო რისკი** გულისხმობს გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაუბრუნებლობის საშიშროებას.

**ფინანსური რისკი** მოსალოდნელ ფინანსურ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, რაც როგორც წესი აღმოცენდება მაშინ, როდესაც ფირმის აქტივებში მოხილული საშუალებანი ბევრად სჭარბობს საკუთარ კაპიტალს, რის გამოც ფირმა არალიკვიდური ანუ გადახდისუნარო ხდება და კოტრდება.

როგორც ითქვა, ნებისმიერი სახით (საწარმოო, კომერციული, ფინანსური) და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით (ინდივიდუალური, პარტნიორული, კორპორაციული) განხორციელებული მეწარმეობა მეტნაკლებად დაკავშირებულია მოსალოდნელი ზარალის ალბათობასთან, ანუ რისკთან. ამ მხრივ, ყველაზე რთულია საწარმოო მეწარმეობა. ამიტომაცაა, რომ ეკონომიკურად აქტიური ადამიანები, რომელთაც სურთ, წამოწყებულ საქმეს სწრაფად "მოხადონ ნაღები", ინვესტიციებს უპირატესად კომერციულ და საბანკო-საფინანსო ბიზნესში აბანდებენ. დღევანდელ საქართველოში მეწარმეობის ერთერთი მნიშვნელოვანი თავისებურება სწორედ შეუმჩნეველი საწარმოო და აშკარად გამოკვეთილი საბანკო-კომერციული სამეწარმეო აქტიურობაა, ე.ი. საქართველოში ჯერ-ჯერობით ადგილი აქვს არა ფულით საქმის კეთებას, ანუ საქონელმწარმოებელთა სიმრავლეს და მათ შორის კონკურენციას, არამედ უპირატესად ფულით ფულის კეთებას.

რაც შეეხება მეწარმეობის ფორმებს (ინდივიდუალური, სოციალური, კომანდიტური, განსაზღვრული პასუხისმგებლობისა და სააქციონერო), თუ

ჩვეულებრივად, ადვილად მივხვდებით, რომ ყოველი მომდევნო ფორმა ისტორიულად და ლოგიკურად ფულის უკმარისობის პრობლემის გადაჭრისა და ქონების დაკარგვის რისკის შემცირების მიზნით იქმნებოდა.

ასე მაგალითად, ინდივიდუალურ საწარმოში მეწარმე საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს, ე.ი. რისკავს არამარტო იმ ქონებით, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოიყენება, არამედ პირადი ქონებითაც. მაშასადამე, საანალიზო ფორმა გულისხმობს აბსოლიტურ თავისუფლებას მართვაში, შემოსავლების განაწილებაში და ა.შ. მაგრამ ამავდროულად აბსოლუტურ პასუხისმგებლობასაც, რისკსაც.

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში უფლებები და პასუხისმგებლობანი, ანუ რისკი, სოლიდარულად ნაწილდება. ე.ი. რისკის ხარისხი შედარებით მცირდება.

რისკის ხარისხი კიდევ უფრო კლებულობს სააქციონერო საზოგადოებაში. აქ აქციონერის პასუხისმგებლობანი, რისკი განსაზღვრულია მის საკუთრებაში არსებული აქციების ღირებულებით. ასევე განსხვავებულია რისკი, ჩვეულებრივი და პრივილეგირებული აქციების მეპატრონეებისა.

**რისკი დაკავშირებულია, სამეწარმეო საქმეში გამოყენებული მატერიალური, შრომითი, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვის საშიშროებასთან.**

ერთმანეთისგან უნდა განვასხვაოთ ხარჯები და დანაკარგები. მაგალითად: სამკერვალო ფორმა აწარმოებს მამაკაცის კოსტიუმებს. ერთ კოსტიუმს ესაჭიროება 3 მეტრი ქსოვილი. ეს არის ხარჯი. ახლა დავუშვათ, მკერავმა უადგილო ადგილას გადაჭრა ქსოვილი. ამ დროს მას დასჭირდება არა 3მ. ქსოვილი, არამედ—3,5მ. აქედან 3მ. ქსოვილი ხარჯია, ნახევარი მეტრი კი დანაკარგი. ან კიდევ მეწარმემ გადაწყვიტა ერთი წიგნის რეალიზაცია 10 ლარად, მაგრამ მოთხოვნის დაცემის გამო მისი გაყიდვა მოუწია არა 10 ლარად არამედ 9 ლარად. ნავარაუდევზე ნაკლები მოგება სწორედ დანაკარგია. ასევე, თუ თქვენ კონკრეტული პროდუქცია მთლიანად გაყიდეთ, მაგრამ ხედავთ რომ მასზე კვლავაც არის მოთხოვნა, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ხელიდან გაუშვით მოგების მიღების შანსი. ზოგჯერ ადგილი აქვს მორალური ზარალის ფაქტსაც, რის გამოც მეწარმე კარგავს იმიჯს და ჯანმრთელობასაც. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო წესით ხორციელდება მეწარმეზე მიყენებული მორალური ზარალის ანაზღაურება—კომპენსირება.

## მეორე ნაწილი

- სამეწარმეო დანაკარგების ძირითადი მიზეზები და სახეობები;
- სამეწარმეო რისკების ზონები და გაზომვა-შეფასების მეთოდები;
- სამეწარმეო რისკების მართვა.

## 12.2. სამეწარმეო დანაკარგების ძირითადი მიზეზები და სახეობები

**სამეწარმეო რისკებს (დანაკარგებს) აპირობებს შემდეგი ძირითადი მიზეზები:**

1. სტიქიური უბედურებანი (მიწისძვრა, წყალდიდობა, ქარიშხალი, ეპიდემიები, ხანძარი, ავარიები, გაქურდვა, და ა.შ.). ჩამოთვლილი სახეობების წინასწარმეტყველება რთულია, ამასთან, ასეთი პირობების აღმოცენების ალბათობაც ერთობ მცირეა;
2. გაუთვალისწინებელი პოლიტიკური მოვლენები, რომლის შედეგადაც იცვლება კანონები, სამეურნეო საქმიანობის ნორმები და წესები, რომელთაც შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ გაუთვალისწინებელი დანაკარგების წარმოქმნაზე. ამგვარი მოვლენების განჭვრეტა თითქმის შეუძლებელია და ისინი უნდა აღვიქვათ როგორც რეალობა;
3. სამეწარმეო ოპერაციების მონაწილეთა ავადმყოფობა და სიკვდილი;
4. არაკომპეტენტურად შედგენილი ბიზნეს-გეგმა;
5. მოწყობილობის მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლა, ელექტრო-ენერჯის მიუწოდებლობა;
6. შრომის ანაზღაურების ფონდის გადახარჯვა, მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის დონის გადაჭარბება ნავარაუდევთან შედარებით ანუ წარმოების ხარჯების ზრდა.

და ბოლოს ვსაუბრობთ რა რისკის აღმოცენების პირობებზე იმასაც ვიტყვი, რომ რისკი მდგომარეობს უკვე იმაში, რომ თქვენ გაქვთ ფული. აქ რისკი იმაშია, რომ დღეს დაზოგვილი სახსრებით შეგიძლიათ მნიშვნელოვნად მცირე რაოდენობის საქონლის შექმნა მომავალში, თუ კვების პროდუქტებზე, ტანსაცმელზე და სხვა ფასები გაიზრდება, რასაც არც თუ იშვიათად ჩვენშიც აქვს ადგილი.

ისიც სათქმელია რომ თავისუფალი ფულადი სახსრების ინვესტირების ნებისმიერი ფორმა (ფულის ანაბარზე შეტანა, აქციის, ობლიგაციის, უძრავი ქონების შექმნა და ა.შ.) გარკვეული რისკის მატარებელია.

ამიტომ დანაზოგების რაციონალური, სარგებლიანი ინვესტირების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია. თითოეულ თეთრს თქვენთვის გარკვეული უკუგება უნდა მოჰქონდეს, ამიტომ ფული არ უნდა მოაცდინოთ, დააბანდოთ იგი იმაში, რისი ხელახალი გაყიდვაც შესაძლებელია სწრაფად და მომგებიანად. თუ თქვენი ქონების (აქტივების), ან ბიზნესის გაყიდვიდან მეტ ფულს მიიღებთ, ვიდრე იმ ქონების ან ბიზნესით წარმოებული საქონლის რეალიზაციიდან, ნუ დავაყოვნებთ – გაყიდეთ ქონება (საქმე).

**საქმეში დასაბანდებლად უნდა გამოიყენოთ მხოლოდ დროებით თავისუფალი ფული,** ანუ ის ფული, რომელიც დაგრჩებათ ყველა აუცილებელი, პირველადი ხარჯების გამოკლების შემდეგ. ე.ი. საკითხს უნდა მიუღვეთ ნაშთობრივი პრინციპით, ანუ საქმეში ჩადოთ ის ფული, რომლის დაკარგვა თქვენთვის კატასტროფის ტოლფასი არ იქნება.

შეგნიშნავთ, რომ ინვესტირების უმრავლესობიდან მოგების სიდიდე პირდაპირ დამოკიდებულია გასაწევი რისკის ხარისხთან. ასე მაგალითად, ანაბარზე შეტანილი სახსრების დაკარგვის საშიშროება უფრო ნაკლებია, ვიდრე

აქციაში დაბანდებისა, მაგრამ სხვა თანაბარ პირობებში აქციას შედარებით მეტი სარგებლისა და ღირებულების მოტანა შეუძლია, ვიდრე ანაბარს.

სამეწარმეო საქმიანობაში შეიძლება ადგილი ქონდეს მატერიალურ, შრომით, ფინანსურ, დროის დანაკარგებსა და დანაკარგების სპეციალურ სახეობებს. შევეხოთ თითოეულ მათგანს. **მატერიალური დანაკარგები** აღმოცენდებიან გათვალისწინებულზე დამატებით დანახარჯებში, მატერიალური ობიექტების, საქონლის, მასალების, ნედლეულის და ენერჯის სახით. ჩამოთვლილი დანაკარგების თითოეული სახე, შესაბამის საზომ ერთეულებში იზომება: წონით, მოცულობით და ა.შ. ერთეულებში. **შრომითი დანაკარგების** ფულად ღირებულებაში გადაყვანა ხდება, შრომა – საათის რაოდენობის ერთი საათის ფასზე გამრავლებით; **ფინანსურ დანაკარგებს** ადგილი აქვს ფულის პირდაპირი დანაკარგების შემთხვევაში, ფულის გადახარჯვასთან, გაუთვალისწინებელ გადასახადებთან და ჯარიმების გადახდასთან დაკავშირებით. ფულადი ზარალის სახეობაა, ასევე, დანაკარგები ინფლაციის და სავალუტო კურსის რყევების გამო; **დროის დანაკარგებს** მაშინ აქვს ადგილი როდესაც სამეწარმეო საქმიანობის პროცესი მიმდინარეობს იმაზე ნელა, ვიდრე ეს ნავარაუდები იყო. ასეთი დანაკარგების პირდაპირი შეფასება ხდება საათებში, დღეებში და ა.შ. დროის დანაკარგები ფულად ფორმაში რომ გადავიყვანოთ საჭიროა გაირკვეს მოგების რა დანაკარგები გამოიწვია შემთხვევითმა დანაკარგებმა. დანაკარგების სპეციალური სახე ვლინდება ადამიანის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის, ასევე, მეწარმის პრესტიჟის დაკარგვაში.

### 12.3. სამეწარმეო რისკების ზონები და გაზომვა-შეფასების მეთოდები

**ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა ხასიათდება მეტნაკლები რისკით. რისკის (დანაკარგების-ზარალის) ხარისხის მიხედვით მეწარმეობის სფეროებს ყოფენ ზონებად.**

საქმიანობის სფეროს, სადაც მოსალოდნელი დანაკარგები ნულის ტოლია ანუ ნავარაუდები მოგება სრულად მიიღება, არასარისკო (ნულოვანი დანაკარგების) ზონა ეწოდება.

საქმიანობის სფეროს, სადაც შესაძლოა დაიკარგოს ნავარაუდები მოგების ნაწილი ან მთლიანად მოგება, დასაშვები რისკის ზონა ეწოდება. ამ ზონაში სამეწარმეო საქმიანობა დასაშვებია, რადგანაც რისკით გამოწვეული დანაკარგები მოგებას არ აღემატება. მაგალითად: ნავარაუდები გქონდათ 2000 ლარის მოგების მიღება. სინამდვილეში კი დაკარგეთ მისი ნაწილი ან მთლიანად 2000 ლარი. ასეთ სიტუაციაში სახეზეა დასაშვები რისკის ზონა, რადგანაც წარმოებისა და მიმოქცევის ხარჯები დაიფარა, მაგრამ უქმად ჩატარდა ბიზნეს-ოპერაცია, რამეთუ არ მოიტანა ნავარაუდები, ხარჯებზე მეტი შემოსავალი ანუ მოგება.

თუ მაგალითად, საქმეში დააბანდეთ 3000 ლარი, ხოლო ამოაგეთ 2000 ლარი, მაშინ სახეზეა კრიტიკული რისკის ზონა. ამ შემთხვევაში თქვენ კარგავთ არა მარტო მოგებას, არამედ ვერ ფარავთ ხარჯებსაც კი. ე. ი. 1000 ლარი საკუთარ თავზე უნდა აიღოთ, მოგებაზე კი ლაპარაკი ზედმეტია. ამრიგად, თუ სამეწარმეო პროექტის ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ მისი რეალიზაციისას

შეიძლება დაიკარგოს იმ ოდენობის თანხა, რომელიც აღემატება მოგებას, მის განხორციელებაზე უარი უნდა თქვათ.

ხოლო, თუ სამეწარმეო პროექტი გაკარგვინებთ ქონებას და ფულად საშუალებებს მთლიანად, მაშინ სახეზეა კატასტროფული რისკის ზონა. ამგვარი პროექტის რეალიზაცია უფრო ავანტიურაა, ვიდრე სამეწარმეო რისკი. მაგალითად, ინდივიდუალური მეწარმეობის დროს შესაძლებელია პირადი ქონების ან მისი ნაწილის დაკარგვა. ეს იმ შემთხვევაში, როცა დავალიანების დაფარვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდება სამეწარმეო ქონება. აქედან გამომდინარე, სამეწარმეო საქმიანობას მაშინ აქვს აზრი, როდესაც კატასტროფული დანაკარგების ალბათობა უკიდურესად დაბალია და უახლოვდება ნულს.

არსებობს რისკის გაზომვა-შეფასების სტატისტიკური, ექსპერტული და კომბინირებული მეთოდი.

**რისკის სტატისტიკური** მეთოდით შეფასებისას სწავლობენ კონკრეტული საქმიდან მოგება-ზარალის სტატისტიკას. მაგ. გსურთ ძაღები მოსინჯოთ მეკურდღლეობაში. ამ მიმართებით სწავლობთ სტატისტიკას, საიდანაც ირკვევა, რომ მეკურდღლეობაში წარმოებული 10 ბიზნეს-ოპერაციიდან, 6 დამთავრდა ნულოვანი დანაკარგებით, 2 – დასაშვები რისკით, 1 – კრიტიკული რისკით და 1 – კატასტროფული რისკით. აღნიშნული სტატისტიკური მონაცემებიდან გამომდინარე, რისკიანი მეწარმე ხელს მოკიდებს ბიზნეს ოპერაციას მეკურდღლეობაში. **ექსპერტული** შეფასებისას რისკს აფასებენ არსებული ცოდნა-გამოცდილების და ინტუიციის საფუძველზე. ამ მეთოდს მიმართავენ ინფორმაციის დეფიციტის პირობებში. მაგ. იგივე მეკურდღლეობაში დასპეციალებული მეწარმის ინტუიციით შეფასებული რისკი უპირატესად ანგარიშგასაწვია. საერთოდ სტატისტიკურ და საექსპერტო მეთოდებს მიმართავენ მაშინ, როცა რისკი დასაშვები ან კრიტიკულია, ხოლო თუ რისკი კატასტროფულია მაშინ აუცილებელია როგორც სტატისტიკური ისე საექსპერტო მეთოდების **კომბინაცია**.

#### 12.4. სამეწარმეო რისკების მართვა

სამეწარმეო რისკების მართვა გულისხმობს რისკების განმაპირობებელი მიზეზების გამოვლენა-შეფასებას და მათი მოხდენის შემთხვევაში კომპანიაზე და მუშაკებზე უარყოფითი ზემოქმედების გამორიცხვის ან მინიმიზების მიზნით ღონისძიებების გატარებას. უფრო კონკრეტულად, რისკების მართვის ეტაპებია:

პოტენციური რისკების განსაზღვრა. რისკების სია უსასრულოა. შწორედ ამიტომ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაარკვიოთ რომელი რისკები ემუქრება ყველაზე მეტად თქვენს კომპანიას ანუ რომელი რისკებია დამახასიათებელი თქვენი ბიზნესისათვის.

პოტენციური რისკების შეფასება და მათი დალაგება შემცირების მიმართულებით. მაგალითად, თუ თქვენი კომპანია ზღვასთან ახლოს მდებარეობს უნდა იფიქროთ არა ხანძრისაგან, არამედ მოსალოდნელი წყალდიდობისაგან დაზღვევაზე.

ყოველი პოტენციური რისკისათვის მართვის ინსტრუმენტის სწორი შერჩევა. საჭიროა გაიაზროთ რისკების მართვის პროცესი და შეადგინოთ გეგმა. ერთ შემთხვევაში შეიძლება ეფექტიანი იყოს პროფილაქტიკური (წინასწარი

გამაფრთხილებელი) ღონისძიებები, მეორე შეთხვევაში – პერსონალის სპეციალური (უსაფრთხოების ტექნიკის) სწავლება, მესამე შემთხვევაში – სადაზღვევო პოლისის შექმნა და ა. შ.

შემუშავებული რისკების მართვის სტრატეგიის შედეგიანობის შეფასება და მისი თავისდროული გადახედვა – განახლება. საჭიროა რეგულარული და პერიოდული გადახედვა რისკების მართვის სტრატეგიებისა და გეგმებისა. თუ თქვენი რისკების მართვის პროცესი, შერჩეული სტრატეგიები და გეგმები უზრუნველყოფენ კომპანიის ჯეროვან დაცვას, პასუხობენ წაყენებულ მოთხოვნებს – ძალიან კარგია. თუ არადა – დაუყონებლივ უნდა მოხდეს მისი კორექტირება – შეცვლა.

ამგვარად, ისე უნდა ამოარჩიოთ და მოაწყოთ საქმე, რომ რისკის ხარისხი არ აღემატებოდეს გონივრულ ზღვარს. ამასთან ისიც უნდა გახსოვდეთ, რომ რისკების ხარისხის შემცირების მთავარი ფაქტორი თქვენი და თქვენი ხელქვეითების ცოდნა და გამოცდილებაა.

რისკების ეფექტიან მართვაში დიდი როლი ენიჭება რისკების შემცირების მეთოდების ცოდნას და მათ გონივრულ გამოყენებას. რისკების შემცირების მეთოდებია:

1. სარისკო საქმისგან ხელის ალება. ასეთი მიდგომით შეიძლება საერთოდ საქმის გარეშე დარჩეთ, ვინაიდან არ არსებობს საქმე მეტნაკლები რისკის გარეშე. მაგრამ სათანადო ზომებით სავსებით შესაძლებელია ამ რისკის ხარისხის შემცირება. მაგალითად, ნინიკოს აქვს სასტუმრო, რომელიც აღჭურვილია საცურაო აუზით. ადვილი შესაძლებელია, რომ კლიენტი ამ საცურაო აუზში დაიხრჩოს, ე.ი. არსებობს რისკი. ნინიკოს ამ რისკისგან თავის არიდება

შეუძლია თუ დახურავს საცურაო აუზს;

2. ნინიკოს ასევე შეუძლია რისკის ხარისხის შემცირებაც, თუკი შექმნის სამაშველო სამსახურს;

3. რისკის ხარისხის შემცირება შეიძლება თვითდაზღვევითაც თუ მოსალოდნელი დანაკარგები უმნიშვნელოა. მაგ. გიორგი ემსახურება ბაღებისა და გაზონების ავტომატურ რწყვას. ცხადია, არსებობს საშიშროება ზამთარში ყინვის გამო ამ სარწყავი სისტემის მწყობრიდან გამოსვლისა. გიორგის ამ რისკის შემცირება შეუძლია ან სადაზღვევო პოლისის შექმნით, ან მის სანაცვლოდ მცირეოდენი რეზერვების შექმნით, რომლის მეშვეობით საჭირო შემთხვევაში შეაკეთებს მილებს. მიკრო დონეზე თვითდაზღვევა მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა შედგება ფილიალებისაგან. ასეთ სიტუაციაში უფრო იოლია იმ რისკების მართვა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძართან, გაქურდვასთან და სხვა ამდაგვარ ზარალთან;

4. რისკის შემცირება შესაძლებელია დაზღვევით ანუ მისი სხვაზე გადაკისრებითაც. მაგ. რესტორან "არაგვი" კლიენტმა ამ ფირმის პიურეს ჭამისას, მასში არსებული ფაიფურის ნატეხით კბილი მოიტეხა. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული კლიენტის მკურნალობის ხარჯებს გაიღებს ის სადაზღვევო კომპანია, რომლის წევრიც არის "არაგვი". დაზღვევა რეკომენდებულია სადაზღვევო კომპანიაში იმ ფირმებისათვის, რომლებსაც დიდი ოდენობის

ქონება კონცენტრირებული აქვთ ერთ ადგილას და უბედური შემთხვევის დროს შეიძლება მთლიანად იყოს განადგურებული;

5. რისკის შემცირება მისი გადანაწილებითაც არის შესაძლებელი. არსებობს აზრი, რომ ბიზნესში რაც მეტია მონაწილე, მით უფრო კლებულობს რისკი. ამიტომ გონიერი მეწარმე რაც უფრო მაღალი რისკის საქმეს ჰკიდებს ხელს, მით უფრო მეტ პატივს აერთიანებს თავის ბიზნესში. რისკების გადანაწილების საუკეთესო მაგალითია აქციონერული საზოგადოება, სადაც როგორც მოგებას, ისე ზარალს ათასობით და ათეულ ათასობით აქციონერი ინაწილებს;

6. რისკების შემცირების კარგი საშუალებაა ინვესტირების ანუ კაპდაბანდების დივერსიფიკაცია. დივერსიფიკაციის მეთოდით სარგებლობს დიასახლისი, როდესაც ყველა კვერცხს ერთ ქოთანში არ აწყობს. დივერსიფიკაციის მეთოდით განსაკუთრებით სარგებლობენ საინვესტიციო ფონდები. ფონდები, რომლებიც ფულადი საშუალებების მოზიდვის მიზნით, ახორციელებენ ფასიანი ქაღალდების ემისიას და შემდგომ ამ ფულადი საშუალებების განთავსებას ახდენენ ვთქვათ, ხუთ სააქციონერო საზოგადოებაში. ეს, ერთი მხრივ, ხუთჯერ ზრდის მოგებას, ხოლო მეორეს მხრივ, ხუთჯერ ამცირებს ზარალს, რისკს. ვთქვათ, თუ ორი აქციონერული საზოგადოება ზარალზე იმუშავებს, სამი მოიგებს და ამ მოგებით მოხდება ზარალის კომპენსირება;

7. რისკის (დანაკარგების) შემცირების მიზნით აუცილებელია რისკისაგან თავის დაზღვევის საკუთარი პროგრამა. მაგ. მასალებისა და მაკომპლექტებლების სარკინიზო ტრანსპორტით გადაზიდვის შეფერხებაში რისკისას აუცილებელია ნაწარმის საჰაერო და საავტომობილო გადაზიდვის ალტერნატიული პროგრამა;

8. საწარმოს შეუძლია შეამციროს რისკების წარმოქმნის საშიშროება ისეთი პროგრამებით, როგორიცაა: ტრენინგები ხანძრის წარმოქმნის შემთხვევაზე, უსაფრთხოების წესების დაცვაზე, სანიტარულ განათლებაზე და სხვა.

მეწარმის ვალია, სადად გააანალიზოს რისკის ყველა სფერო, მკაცრად შეაფასოს, ან ინტუიციით განსაზღვროს რისკის დონე და ისე მიიღოს მართველური გადაწყვეტილება. ამ მიზნით მეწარმე ფირმას უნდა იხილავდეს როგორც დამოუკიდებელ, მთლიან და ღია სისტემას. იცნობდეს მის შიდა ცვლადებს, მათ თვისებებსა და როლს და ბიოლოგიური ორგანიზმის მსგავსად გარემოსთან შეგუების მიზნით ახორციელებდეს ცვლილებებს, რათა ფირმა შეეგუოს, მოერგოს გარემოს და ამით შეინარჩუნოს არსებობა, უზრუნველყოს ეფექტიანი ფუნქციონირება. მაგ. თუ ფირმა არ შეხვდა მზად მის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდას ანუ ვერ მოახერხა გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაშინ ამას მისი კონკურენტები გააკეთებენ, თვითონ კი გაუუარესდება ფინანსური მდგომარეობა და შეიძლება გაკოტრდეს კიდევ, რომ აღარაფერი ვთქვათ იმიჯის დაცემაზე. ან კიდევ, ადგილობრივი მოსახლეობის რიცხვის მატება გაზრდის როგორც მოთხოვნას, ისე მუშა-ხელის რაოდენობას და სხვა. მოკლედ, მეწარმემ თავისი პრაგმატული ბუნება (მოგებისაკენ ლტოლვა) უნდა შეაუღლოს ფირმის ყოვლისმომცველ, სისტემურ ხედვასთან. რაც უფრო ფართო და ყოვლისმომცველი იქნება მისი ხედვა და ეს ყველაფერი კი გათვალისწინებული მართველური გადაწყვეტილებისას, მით მცირე იქნება რისკი. ცხადია, მეწარმის თვალსაწიერში მხოლოდ ის ფაქტორები უნდა მოექცნენ, რომლებიც არსებით ზეგავლენას ახდენენ ფირმის საქმიანობაზე. ამ მიზნით ფირმის მართვის სისტემაში კუთვნილი ადგილი უნდა მიეჩინოს

რისკების მართვის სამსახურს, რომელიც დაკომპლექტდება მაღალკვალიფიციური რისკ-მენეჯერებით და რომლის ფუნქციებში შევა სამეწარმეო რისკების განსაზღვრა, შეფასება და მართვა. მცირე საწარმოებმა კი, სადაც გასაგები მიზეზების გამო არ არსებობს ამგვარი სამსახური, გარედან უნდა მიიღონ კონსულტაციები რისკ-მენეჯმენტში.

რისკების შემცირების საქმეში დიდ როლს ასრულებს მეწარმეობისათვის ხელსაყრელი საბაზრო გარემოს შექმნა, რაც სახელმწიფოს პრეროგატივაა.

## **თემა 11: რისკების მართვა და დაზღვევა ბიზნესში**

### **დედააზრი**

**რისკი უნდა აიხსნას მეწარმეობის იმანენტური (შინაგანი) თვისებებით -** მოგებისაკენ სწრაფვით, შემოქმედებითი და ინვესტიციური ხასიათით, რადგანაც რისკი მჭიდრო კავშირშია მეწარმეობის თითოეულ ამ თვისებასთან. **ასე მაგალითად, მოგების მიღების ასპროცენტუანი გარანტია არ არსებობს.** ბიზნესი აზარტულ თამაშს წააგავს, სადაც ადვილად შესაძლებელია მოგებაცა და ზარალიც. მთავარია რისკი არ გასცდეს გონივრულობის ფარგლებს ანუ არ იყოს ბრმა. მაგალითად, თუ წინათ ჩატარებული ასი ანალოგიური ოპერაციიდან ასივე წარუმატებლად დამთავრდა, მეწარმე კი ჯიუტად კვლავ ამ ოპერაციას კიდებს ხელს, მაშინ იგი მიდის ბრმა რისკზე. ჩვეულებრივ, სამუშაო რაც უფრო სარისკოა, მით მაღალ ხელფასს (ანაზღაურებას) მოითხოვენ ადამიანები მისი შესრულებისათვის. ეს ნათლად ჩანს ისეთი სპეციალობის მუშაკთა შრომის ანაზღაურების მაგალითზე, როგორცაა: მაღაროელი, მფრინავი-გამომცდელი, კოსმონავტი და სხვა, ასევე, მეწარმე და საბირჟო ოპერაციების სპეციალისტი. აქედან, პირველნი რისკავენ თავიანთი ჯანმრთელობით და სიცოცხლით, მეორენი კი – საქმეში ჩადებული დიდი ფულადი თანხით.

**მეწარმეობის შემოქმედებითობა და ნოვატორულობა, ასევე, რისკთან არის დაკავშირებული,** რადგანაც არავინ იცის წარმოებაში დანერგილი ახალი პროდუქცია, ახალი ტექნიკა, ახალი ტექნოლოგია, მართვის ახალი მეთოდები, მა-

ღალკვალიფიციური ახალი მუშაკი და სხვა დანამდვილებით მოიტანს თუ არა წარმატებას. საწარმოში ნოვაციების დანერგვის, რისკის ლოკალიზაციისა და შემცირების კარგი საშუალებაა ვენჩერული ფირმა, რომელიც მსხვილი ფირმების

დაკვეთით მისდევს ნოვატორულ წამოწყებათა რეალიზაციას-ტექნიკურ სიახლეთა დანერგვას, პროდუქციის ახალ სახეობათა გამოშვებას და ახალი სახეობის მომსახურების გაწევას. მოკლედ, **ვენჩერული ბიზნესი არის ინოვაციების დაფინანსების საშუალება.** უფრო კონკრეტულად, ფინანსურად ძლიერი დიდი კორპორაციები ე. წ. ვენჩერული ანუ სარისკო კაპიტალით

აფინანსებენ სიახლეების დანერგვით დაკავებულ პატარა ფირმებს. იმის გამო, რომ პრინციპულად ახალი საქონლის დანერგვა ჩვეულებრივ დიდ რისკთან არის დაკავშირებული, ახალი პროდუქციისათვის საჭირო დაფინანსება და კაპიტალი სარისკოდ ითვლება. ცხადია, წარუმატებლობის შემთხვევაში კაპიტალი დაკარგულია. წარმატების შემთხვევაში კი მსხვილი კორპორაცია თვითონ იწყებს ამ პროდუქციის მასშტაბურ წარმოებას.

**ინვესტირებაც (კაპიტალის დაბანდება) კავშირშია რისკთან.** ფული ბანდება დღეს და მისი გაზრდილი რაოდენობით ამოღება ივარაუდება, ვთქვათ, ორი, ხუთი ან ათი წლის შემდეგ. ამ ხნის განმავლობაში კი ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს ეკონომიკაში, პოლიტიკაში, კანონმდებლობაში, ბუნებაში და ა.შ. სწორედ ამიტომ, მენეჯერს უნდა შეეძლოს სტატისტიკური ანალიზი, რისკების შეფასება და ეკონომიკური გაურკვევლობის ანუ მომავლის შესახებ ინფორმაციის უკმარისობის პირობებში კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღება. ზოგადად, რისკი არის მოსალოდნელი ზიანი, ზარალი, დანაკარგი. შეიძლება დაიკარგოს ფიზიკური ჯანმრთელობა, სიცოცხლე, შემოსავალი, იმიჯი, რეპუტაცია, ვთქვათ, 200 000 ლარის ღირებულების შენობა, ქონება და სხვა. **რის გამო შეიძლება დაიკარგოს?** – პოტენციურად შესაძლებელი რისკების გამო ანუ **ბუნებაში და საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებების გამო.** რისკებს ზრდის ანუ მოგებას ამცირებს ყველა ის ფაქტორი და მოვლენა, რომელიც ხელს უწყობს ნავარაუდევთან შედარებით ხარჯების ზრდასა და ნავარაუდევთან შედარებით შემოსავლების შემცირებას.

**კონკრეტულად, სამეწარმეო რისკი არის** გეგმით, პროგნოზით გათვალისწინებულზე მეტი დანაკარგების საშიშროება ანუ საფრთხე იმისა, რომ მეწარმე დაკარგავს არამართო ნავარაუდევ მოგებას ან მის ნაწილს, არამედ მთლიანად ქონებას და გაკოტრდება. რისკის გამართლებაზე თუ გაუმართლებლობაზე პასუხს იძლევა სამეწარმეო ბალანსი, ან მოგება-ზარალის ანგარიში. საანგარიშო წლის ბოლოსათვის მეწარმის გამგებლობაში არსებული აქტივების (ქონების), მოგების ზრდა იმის მაუწყებელია, რომ რისკმა გაამართლა, ხოლო პირიქით შემთხვევაში, რისკმა ვერ გაამართლა.

**განასხვავებენ საწარმოს შიგა და გარე რისკებს. საწარმოს შიგა რისკებია ის რისკები,** რომლებიც საწარმოს საქმიანობაზეა დამოკიდებული და მასზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია საწარმოს. მაგალითად, საწარმოს ხელმძღვანელობის საქმიანი აქტივობა, ოპტიმალური მარკეტინგული სტრატეგიის არჩევა, საწარმოო პოტენციალი, ტექნიკური აღჭურვილობა, სპეციალიზაციის დონე, შრომის მწარმოებლურობის დონე, უსაფრთხოების ტექნიკის დონე და სხვა. **საწარმოს გარე რისკებია ის რისკები,** რომლებიც საწარმოს საქმიანობაზე არ არის დამოკიდებული და მასზე ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლია საწარმოს. მაგალითად, ესაა პოლიტიკური, ეკონომიკური, დემოგრაფიული, სამართლებრივი და სხვა გარემოში მომდხარი ცვლილებები. **არსებობენ რისკიანი და ფრთხილი ადამიანები.**

**გამოყოფენ რისკების სამ მთავარ კატეგორიას.** ესაა: სუფთა (წმინდა), სპეკულიაციური და ფუნდამენტური რისკი. განასხვავებენ, ასევე, დაუზღვევად და დაზღვევად რისკებს. რისკი იმანენტურად (შინაგანად) დამახასიათებელია, როგორც მეწარმეობის ყველა სახეობისათვის, ისე თითოეული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისათვის.

**მეწარმეობის სახეობების მიხედვით გამოყოფენ საწარმოო, კომერციულ, ფინანსურ და საკრედიტო რისკს. საწარმოო რისკი** დაკავშირებულია პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციისას მოსალოდნელ დანაკარგებთან. **კომერციული რისკისას** მხედველობაშია მოსალოდნელი დანაკარგები, რომელიც შეიძლება განიცადოს კომერსანტმა საქონლის შესყიდვისა და რეალიზაციის პროცესში. **საკრედიტო რისკი** გულისხმობს გაცემული სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტის დაუბრუნებლობის საშიშროებას. **ფინანსური რისკი** მოსალოდნელ ფინანსურ დანაკარგებთანაა დაკავშირებული, რაც როგორც წესი აღმოცენდება მაშინ, როდესაც ფირმის აქტივებში მოზიდული საშუალებანი ბევრად სჭარბობენ საკუთარ კაპიტალს, რის გამოც ფირმა არალიკვიდური ანუ გადახდისუნარო ხდება და კოტრდება.

**განასხვავებენ, ასევე, დაუზღვევად და დაზღვევად რისკებს. დაუზღვევადი რისკებია: საბაზრო რისკები,** რომელიც შეიძლება განიცადოს საწარმომ საქონელზე ფასების, მოდისა და მოთხოვნის ცვლილების გამო; **პოლიტიკური რისკები** ანუ ხარალი, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს საომარი მოქმედებებით, ანდა მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვებით; **პირადი რისკები** - დაკავშირებული სამუშაოს დაკარგვასთან; **საწარმოს ზოგიერთი რისკი,** რომელიც გამოწვეულია გაფიცვებით ან მოწყობილობების არეფექტიანობით. **ჩამოთვლილი რისკები დაუზღვევადია, რადგანაც მათთან დაკავშირებული ზარალის სიდიდის ან ალბათობის წინასწარმეტყველება თითქმის შეუძლებელია. დაზღვევადი რისკები კი ისეთი რისკებია, რომელთაც სადაზღვევო კომპანიები აზღვევენ იმის გამო, რომ მათზე მოსალოდნელი დასაშვები ნორმა ადვილად პროგნოზირებადია.**

მეწარმეობის ფორმები (ინდივიდუალური საწარმო, სოლიდარული, კომანდიტური, შეზღუდული პასუხისმგებლობისა და აქციონერული საზოგადოება) ისტორიულად და ლოგიკურად ფულის უკმარისობის პრობლემის გადაჭრისა და ქონების დაკარგვის რისკის შემცირების მიზნით იქმნებოდა. ასე მაგალითად, ინდივიდუალურ საწარმოში მეწარმე საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს, ე.ი. რისკავს არამარტო იმ ქონებით, რომელიც სამეწარმეო საქმიანობისათვის გამოიყენება, არამედ პირადი ქონებითაც. ე.ი. საანალიზო ფორმა გულისხმობს აბსოლიტურ თავისუფლებას მართვაში, შემოსავლების განაწილებაში და ა.შ. მაგრამ ამავდროულად აბსოლუტურ პასუხისმგებლობასაც, რისკსაც. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში უფლებები და პასუხისმგებლობანი, ანუ რისკი სოლიდარულად ნაწილდება. ე.ი. რისკის ხარისხი შედარებით მცირდება. რისკის ხარისხი კიდევ უფრო კლებულობს აქციონერულ საზოგადოებაში. აქ აქციონერის პასუხისმგებლობანი ანუ რისკი განსაზღვრულია მის საკუთრებაში არსებული აქციების ღირებულებით. რისკი დაკავშირებულია, სამეწარმეო საქმეში გამოყენებული მატერიალური, შრომითი, ფინანსური და ინტელექტუალური რესურსების ნაწილობრივი ან სრული დაკარგვის საშიშროებასთან.

ნებისმიერი სამეწარმეო საქმიანობა ხასიათდება მეტნაკლები რისკით. **რისკის (დანაკარგების-ზარალის) ხარისხის მიხედვით მეწარმეობის სფეროებს ყოფენ ზონებად.** ესაა: არასარისკო ზონა, დასაშვები სარისკო ზონა, კრიტიკული რისკის ზონა, კატასტროფული რისკის ზონა. **სამეწარმეო რისკებს (დანაკარგებს) აპირობებს შემდეგი ძირითადი მიზეზები:** სტიქიური უბედურებანი;

გაუთვალისწინებელი პოლიტიკური მოვლენები; სამეწარმეო ოპერაციების მონაწილეთა ავადმყოფობა და სიკვდილი; არაკომპეტენტურად შედგენილი ბიზნეს-გეგმა; მოწყობილობის მოულოდნელი მწყობრიდან გამოსვლა, ელექტროენერჯის მიუწოდებლობა; შრომის ანაზღაურების ფონდის გადახარჯვა და სხვა.

**არსებობს რისკის გაზომვა—შეფასების სტატისტიკური, ექსპერტული და კომბინირებული მეთოდი.** სამეწარმეო რისკის მართვა გულისხმობს რისკის განმაპირობებელი მიზეზების გარკვევას და მათ საერთოდ აღმოფხვრას ან მინიმიზებას. **რისკის შემცირების მეთოდებია:** 1)სარისკო საქმისგან ხელის ალება; 2)რისკების სხვებზე გადაკისრება; 3)რისკის ხარისხის შემცირება თვითდაზღვევითა და დაზღვევით; 4)რისკის შემცირება მისი გადანაწილებით; 5)რისკების შემცირება კაპდაბანდების დივერსიფიკაციით და სხვა.,

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით იმაზე, თუ როგორ უნდა დაიცვან მეწამეებმა თავიანთი საწარმო რისკისაგან. **ისმის კითხვა—როგორ უნდა დაიცვან მათ საკუთარი თავი ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში რისკებისაგან, როდესაც გადიან პენსიაზე.** ასეთ საპენსიო პროგრამებს ადარებენ სამფენხა სკამს: 1) **სოციალური უზრუნველყოფა.** ნორმალური ქვეყნის ყოველი მოქალაქე ღებულობს პენსიას სოციალური დაზღვევის სისტემიდან, როცა გადის პენსიაზე. ბევრისათვის ეს არსებობის ერთადერთი წყაროა; 2)**პირადი დანაზოგები;** 3)**კერძო საპენსიო სისტემები.** შემოსავლის ეს წყარო იძლევა ფინანსური სტაბილურობის გარანტიას პენსიაზე გასვლის შემდეგ. ინდივიდუალური საპენსიო უზრუნველყოფის ორგანიზება იოლია მსხვილ კორპორაციებში.

## კითხვები აუდიტორიაში განხილვისათვის და შემოწმებისათვის

1. რას ნიშნავს რისკი არასპეციალისტისათვის და მეწარმისათვის? მოიყვანეთ მაგალითი.
2. ახსენით განსხვავება სუფთა და სპეკულაციურ რისკს შორის. რისკის თითოეული ამ ნაირსახეობის შესახებ მოიყვანეთ მაგალითები.
3. რა არის ფუნდამენტური რისკი? მოიყვანეთ მაგალითი.
4. რა განსხვავებაა დაზღვევად და დაუზღვევად რისკებს შორის? მოიყვანეთ თითოეულის შესახებ მაგალითები.
5. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ მეწარმეობის სახეობების მიხედვით რისკები.
6. რითი განსხვავდება სამეწარმეო ხარჯები დანაკარგებისაგან?
7. ჩამოთვალეთ და გაანალიზეთ სამეწარმეო რისკების (დანაკარგების) ძირითადი მიზეზები.
8. დაახასიათეთ დანაკარგების სახეობები.
9. რისკების რა სახეობის ზონები არსებობს და თითოეულისათვის რა არის დამახასიათებელი?
10. რისკების შეფასების რომელი მეთოდები არსებობს და რა შემთხვევაშია მიზანშეწონილი თითოეულის გამოყენება?
11. რას გულისხმობს სამეწარმეო რისკების მართვა და რა ეტაპებს

მოიცავს იგი?

12. ჩამოთვალეთ და დაახასიათეთ რისკების შემცირების მეთოდები.

**შესარჩევი შეკითხვები: სვეტის ყოველ ტერმინს შეუსაბამეთ განმარტება სვეტიდან**

**სვეტი**

- 1. სამეწარმეო რისკი
- 2. სამეწარმეო რისკის სახეობები
- 3. რისკის ხარისხის ზონები
- 4. სამეწარმეო რისკის მართვა
- 5. პასიური მესაკუთრე
- 6. აქტიური მესაკუთრე
- 7. სამეწარმეო დანაკარგების სახეობები
- 8. რისკის შემცირების მეთოდები
- 9. რისკის შეფასების მეთოდები
- 10. სამეწარმეო დანაკარგები

**სვეტი**

ა.გათვალისწინებულზე მეტი რესურსების ხარჯები.

ბ.საშიშროება იმისა, რომ მეწარმე დაკარგავს არა მარტო ნაგარაუდევ მოგებას, ან მის ნაწილს, არამედ მთლიანად ქონებას.

გ.რისკის განმაპირობებელი მიზეზების

გარკვევა და მათი საერთოდ აღმოფხვრა ან მინიმიზება.

დ.ვინც მიდის რისკზე და საკუთარ ქონებას (კაპიტალს) მოგებისათვის ეფექტიანად იყენებს, მართავს.

ე.ვინც ფლობს საკუთრებას (კაპიტალს) და მასზე შემოსავლის მიღებით შემოიფარგლება.

ვ.საწარმოო, კომერციული, ფინანსური და საკრედიტო რისკი.

ზ.მატერიალური, შრომითი, ფინანსური, დროითი და სპეციალური დანაკარგები.

თ.სტატისტიკური, ექსპერტული და კომბინირებული.

ი.სარისკო საქმისაგან ხელის აღება, თვითდაზღვევა, რისკის სხვებზე გადაკისრება, რისკის გადანაწილება, დივერსიფიკაცია.

კ.ნულოვანი, დასაშვები, კრიტიკული და კატასტროფული რისკის ზონა.

## **გაარკვიეთ, ჩამოთვლილი დებულებებიდან რომელია სწორი (ს) და რომელი არა (ა):**

- 1. ამჟამად საქართველოს ეროვნულ მეურნეობაში არსებობს ნულოვანი სარისკო ზონა.
- 2. საბჭოური რეჟიმის პირობებში სამეურნეო ხელმძღვანელებს ეკისრებოდათ არა ქონებრივი, არამედ თანამდებობრივი პასუხისმგებლობა.
- 3. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში უფლებები და პასუხისმგებლობანი, ანუ რისკი სოლიდარულად ნაწილდება.
- 4. აქციონერულ საზოგადოებაში ადგილი აქვს რისკების გადანაწილებას.
- 5. საინვესტიციო ფონდები იყენებენ რისკების შემცირების გადაკისრების მეთოდს.
- 6. რისკების შემცირების საუკეთესო მეთოდია სარისკო საქმეზე ხელის აღება.
- 7. დასაშვები რისკის ზონაში სამეწარმეო საქმიანობა ეკონომიკურად

მიზანშეწონილია.

–8. რისკების მართვის სამსახურს მარკეტოლოგი უნდა ხელმძღვანელობდეს.

–9. სამეწარმეო რისკების მართვა სხვა არაფერია, თუ არა რისკების აბსოლუტური

აღმოფხვრა.

–10. ანაბარზე შეტანილი სახსრების დაკარგვის საშიშროება უფრო ნაკლებია, ვიდრე აქციაში დაბანდებისა.

–11. დეფლაციის დროს, რისკის შემცირების მიზნით საჭიროა სესხის აღება.

–12. ინფლაციის პირობებში ფულის გასესხება ნაკლებ სარისკოა, ე. ი. მომგებიანია.

–13. რაციონალური ინვესტირებისათვის, ე. ი. რისკის შემცირებისათვის ჩვენი დროებით თავისუფალი ფულადი სახსრები მხოლოდ ერთი კორპორაციის ფასიან ქაღალდებში უნდა დავაბანდოთ.

–14. თუ ინფლაციის წლიური ზრდის ტემპი დღემდე აღემატება ანაბარზე დაწესებულ საპროცენტო განაკვეთს, ფული დაგროვების ფუნქციას კარგავს, ე. ი. იზრდება რისკის ხარისხი.

–15. დიასახლისი, რომელიც ყველა კვერცხს ერთ ქოთანში აწყობს, გონიერი მეურნეა.

–16. რისკის გამართლებაზე, თუ გაუმართლებლობაზე პასუხს იძლევა საწამო ბალანსი. საანგარიშო წლის ბოლოსათვის მეწარმის განმგებლობაში არსებული აქტივების (ქონების) ზრდა იმის მაუწყებელია, რომ რისკმა გაამართლა, ხოლო პირიქით შემთხვევაში – რისკმა ვერ გაამართლა.

–17. მბრძანებლურ ეკონომიკაში საწარმოს ხელმძღვანელი მხოლოდ ერთს რისკს ეწევა: გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაძლოა დაკარგოს

თანამდებობა. ამიტომ იგი ყოველნაირად ცდილობს შეასრულოს გეგმა, რათა შეინარჩუნოს დაკავებული თანამდებობა.

–18. საბაზარო ეკონომიკურ სისტემაში მეწარმის მენტალიტეტი პრაგმატიზმს და რაციონალურობას ემყარება: იმოქმედოს რაციონალურად, რათა შედეგები (შემოსავლები) ხარჯებს სჭარბობდეს და ამ გზით მოიპოვოს მოგება (პრაგმატიზმი).

–19. მეწარმეს ტექნოლოგიებისაგან განსხვავებით აინტერესებს არა ის თუ რამდენი ტონა ნედლეული, მასალა დასჭირდება ამა თუ იმ პროდუქტის წარმოებას,

არამედ რა ეღირება პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო რესურსები და როგორ გაიყიდება დამზადებული პროდუქცია, ანუ როგორი იქნება წარმოების

ხარჯები, შმოსავალი და მოგება.

## ამოცანა

1. დადებითი გადაწყვეტილება ხიდის მშენებლობაზე, რომელმაც ექსპლოატაციაში უნდა დაჰყოს 200 წელი და მოიტანოს ყოველწლიური მოგება 10%-ის ოდენობით, მიღებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ

სასესხოსაპროცენტო

განაკვეთი შეადგენს:

- ა. არაუმეტეს 2%-ისა;
- ბ. 10% ან ნაკლები;
- გ. არაუმეტეს 20%-ისა;
- დ. 10% ან მეტი

### შემოხაზეთ ერთადერთი სწორი ვარიანტი

#### 1) სადაზღვევო შემთხვევა არის:

- 1. მზღვეველის მიერ გაცემული ხელშეკრულება, რომელიც იძლევა შესაძლებლობას დაზღვეულმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს მოითხოვოს ანაზღაურება;
- 2. მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა;
- 3. მოვლენა, რომლის დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სადაზღვევო ანაზღაურების არ გადახდა;
- 4. ყველა პასუხი სწორია.

#### 2) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დაუზღვევადი რისკები?

- 1. საბაზრო რისკები;
- 2. წმინდა რისკები დიდი ნაწილი;
- 3. პირადი რისკები და ზოგიერთი საწარმოო რისკი;
- 4. პოლიტიკური რისკები.

#### 3) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის რისკების მართვის ეტაპი?

- 1. პოტენციური რისკების განსაზღვრა;
- 2. პოტენციური რისკების შეფასება, მათი დალაგება შემცირების მიმართულებით და ყოველი პოტენციური რისკისათვის მართვის ინსტრუმენტის სწორი შერჩევა;
- 3. შემუშავებული რისკების მართვის სტრატეგიის შედეგიანობის შეფასება და მისი თავისდროული გადახედვა-განახლება.
- 4. რისკების შეტანა ბიზნეს-გეგმაში

#### 4) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არის დაზღვევის ფორმა:

- 1. ნებაყოფილობითი და სავალდებულო დაზღვევა;
- 2. პირდაპირი დაზღვევა;
- 3. შემთხვევითი დაზღვევა;
- 4. გადატანითი დაზღვევა.

552

#### 5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის დაზღვევის ძირითადი სახეობა:

- 1. ქონების დაზღვევა;
- 2. სახელმწიფოს დაზღვევა;
- 3. პასუხისმგებლობისა და თანამშრომლების დაზღვევა;

4. შემოსავლის დაზღვევა.

**6) მზღვეველი ეს არის:**

1. კომერციული იურიდიული პირი, რომელსაც აქვს ლიცენზია სადაზღვევეო საქმიანობის განხორციელების მიზნით.
2. ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართ ხორციელდება დაზღვევა.
3. სწორია 1 და 2;
4. ყველა პასუხი სწორია.

**7) სამეწარმეო რისკი უნდა აიხსნას:**

1. მოგებისაკენ სწრაფვით;
2. შემოქმედებითი ხასიათით;
3. ინვესტიციური ხასიათით;
4. ყველა ზემოთ ჩამოთვლილით